

საზღვრების საბჭო: ევროპული იდენტობის შესახებ ცნობიერების ამაღლება

„საზღვრების საბჭო“: პროექტის „ევროპის ღირებულებების იდენტიფიკაციისა და გავრცელების საერთო ისტორიის გაცნობიერება“ (ACHIEVE) დასკვნითი ღონისძიება გაიმართა 4 და 5 აპრილს ვიჩენცაში, იტალიაში. რეკატას უნივერსიტეტის (“Istituto Rezzara”) მიერ ორგანიზებული შეხვედრა ჩატარდა ჰიბრიდულ ფორმატში, რამაც საშუალება მისცა ყველა პარტნიორს, ცამეტი (13) სხვადასხვა ქვეყნიდან, დასწრებოდნენ ღონისძიებას.

პროექტის ლიდერმა, მრჩეველმა ფრანჩესკო ფარესინმა, ბრეგანზეს მუნიციპალიტეტიდან, გახსნა ღონისძიება და მიესალმა ღონისძიების პარტნიორებს. პარტნიორმა ორგანიზაციებმა პროექტის ფინანსური ანგარიშგების განხილვის შემდეგ წარმოადგინეს თითოეული ორგანიზაციის მიერ გავლილი გზა მიღწეულ შედეგებთან და სამომავლო მიზნებთან ერთად.

როგორც პარტნიორებმა აღნიშნეს, პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები იყო **შესაძლებლობა, გაზრდილიყო ცნობიერება ევროპული იდენტობის შესახებ**, დაკვირვებოდნენ და შეეფასებინათ ადამიანების დამოკიდებულება ევროსკეპტიციზმის მიმართ და უზრუნველყოთ გზები მის ფართო გავრცელებასთან საბრძოლველად.

დღის მეორე ნახევარში გაიმართა საჯარო ღონისძიება, სადაც წარადგინეს პროექტის პრეზენტაცია. პრეზენტაციის შემდეგ თითოეულმა პარტნიორმა ისაუბრა თავიანთი საქმიანობის, ღირებულებებისა და მიზნების შესახებ. შემდეგომ, „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის“ (ALDA) მიერ ორგანიზებული ღონისძიების „გლობალური მოქალაქეობის რუკა“ (Global Citizenship Map) ფარგლებში შეგროვდა პროექტებთან დაკავშირებული ყველა მასალა (ფოტო, ვიდეო, სტატია) და ჩაიწერა ყველა განხორციელებული აქტივობა.

„საზღვრების საბჭო“: საწინააღმდეგო პოზიციების, იდეებისა და პერსპექტივების გაცვლის შესაძლებლობა

ღონისძიების პირველი დღე დასრულდა ვორქშოპით, სახელწოდებით „ხალხის მოძრაობა. საზღვრების გადაკვეთა მიმდინარე კრიზისის ფონზე“. კონკრეტულად, სემინარი მიმართული იყო მიგრაციასა და ევროსკეპტიციზმზე, მას კოორდინაციას უწევდა პროფესორი ჯუზეპე ფრანკო პესავენტო, რომელსაც აგრეთვე ესწრებოდა პროფესორი ვიტორიო პონტელოსა და „ადგილობრივი დემოკრატიის

სააგენტოების ასოციაციის" (ALDA) პროგრამების განვითარების ოფიცერი კრისტინა კვარციანა, რომლებმაც გამოხატეს თავიანთი მოსაზრებები მიმდინარე კრიზისზე. სემინარი იყო კარგი შესაძლებლობა უკრაინაში მიმდინარე რუსული თავდასხმის შესახებ საწინააღმდეგო პოზიციების, იდეებისა და პერსპექტივების გაცვლისათვის და გაზიარებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სემინარი იმ ფაქტის გათვალისწინებითაც, რომ მონაწილეობას იღებდნენ როგორც ევროპის, ისე მისი მეზობელი ქვეყნების მოქალაქეები. კრისტინა კვარციანამ გააზიარა თავისი შეხედულებები არა მხოლოდ მისი პროფესიული გამოცდილებიდან, არამედ მისი პირადი გამოცდილებიდანაც, როგორც უკრაინის მოქალაქისა.

მეორე დღე პროექტის შეფასებაზე იყო ორიენტირებული. პარტნიორებმა გააზიარეს თავიანთი შეხედულებები პროექტის განვითარებაზე, ძლიერ და სუსტ ასპექტებზე. დღე, დასრულდა ვიჩენცას ქალაქის ცენტრში ვიზიტით. პარტნიორებს ჰყავდათ შესანიშნავი გიდი, სილვია დე მორი რეცატას უნივერსიტეტიდან ("Istituto Rezzara"), რომელიც ენთუზიაზმით უზიარებდა თავის ცოდნას პარტნიორ ორგანიზაციებს ხელოვნების ისტორიის შესახებ.

„ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია" (ALDA) მადლობას უხდის რეცატას უნივერსიტეტს ("Istituto Rezzara") სტუმართმოყვარეობისთვის.